



MES 0 22 0001494355



24/11/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2022 წლის 9 ნოემბერს 14:00 საათზე. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/82181660929?pwd=SkILZWgyNENIeUFWM0ZRTS84TFFEEdz09>

Meeting ID: 821 8166 0929

Passcode: 312537

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);

თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);

ნატო მეტურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს “ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“:

მამია ჯანჯალია - დირექტორი,

თამარ შალვაშვილი - დირექტორის მოადგილე,

თამარ სიბოშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი,

ვერა პაპასკირი - პროფესიული განათლების მასწავლებელი.

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“:

ნინო ქავთარაძე - დირექტორი,

მაია დალაქიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში,

მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი,

რუსუდან ქურასბედიანი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

ა(ა)იპ ქვევრის მზე:

გია გამტკიცულაშვილი - დირექტორი,

გიორგი ზანგურაშვილი - დირექტორის თანამემწე,

თეა ოსეფაშვილი - კონსულტანტი.

ა(ა)იპ კოლეჯი „პორიზონტი“:

ნანა ჯოლია - დირექტორი,

ნანა ფაჩუაშვილი - დირექტორის მოადგილე,

თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

ნაზიბროლა ყაზაიშვილი - იურისტი,

სოფიო კვერელიძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

ნუკი ჩხიკვაძე - ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი (პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ექსპერტი),

თეკლა გურგენიძე - ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი (აგრონომიისა და სერტიფიცირების დეპარტამენტი),

მარი შოშიაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

თეა ბარამაშვილი,

ქეთევან ჯანელიძე,

თეა მახათელაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ ზაირა ბერიძეს.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი:**

1. სსიპ კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის „საგამომცემლო საქმის დიზაინერი“ /01478/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ /01434/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ ქვევრის მზის „ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეციალისტი“ /01378/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01462/ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იყო, საბჭოს სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგის მიხედვით.

1. სსიპ კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის „საგამომცემლო საქმის დიზაინერი“ /01478/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა ბარამაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 სექტემბრის № 01049011 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა თეა ბარამაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2022 წლის 19 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“, ქ. თბილისში, ფანჯიკიძის ქ. N3, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგ-რა-მის „საგამომცემლო საქმის დიზაინერი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარ-ტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება აკადემიის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან, პროგრამის განმახორციელებლებთან. გადამოწმდა პროგრამის სწავლების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი. ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა. რეკომენდაცია არ გაცემულა.

დარგის ექსპერტმა პრეზენტაციაში აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე -მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა 10 კვირა, ხოლო მსმენელთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 8.

დაწესებულებამ პროგრამის საჭიროების დასაბუთებისთვის წარმოადგინა ინფორმაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიო წიგნის ბაზარზე უამრავი განსხვავებული დიზაინის წიგნია წარმოდგენილი. საქართველოში ყოველწლიურად ასობით წიგნს (ბეჭდურს და ელექტრონულს) გამოსცემენ, რასაც მოწმობს ინტერნეტ გვერდებზე ქართული და მსოფლიო სტატისტიკა (მაგ. მწერალთა სახლისა და გამომცემელთა ასოციაციის ორგანიზებით 2016-2020 წლების ქართული წიგნის ბაზრის კვლევა; ქართული წიგნის ბაზრის კვლევის დეტალური მიმოხილვა 2021 წ.; U.S. book market - statistics & facts, სტატისტიკა; Paper Books vs eBooks Statistics, Trends and Facts [2022]) და სხვ., რომლის ანალიზით ირკვევა, რომ ციფრულ ეპოქაში კიდევ უფრო გაიზარდა ბეჭდურ წიგნთან ერთად ციფრული წიგნების შექმნის მოთხოვნაც. ამასთან ერთად წიგნის დაგეგმარებისა და გაფორმების პროფესია (საგამომცემლო საქმის დიზაინერი) უფრო მოთხოვნადი გახდა, რომლის როლი წიგნის შექმნაში, ილუსტრირებაში, დაკაბადონებაში, მაკეტის შემუშავებაში უკვე საუკუნეებია უმნიშვნელოვანესია. სანამ

იარსებებს წიგნი, ნებისმიერი პუბლიკაცია (ბეჭდური; ელექტრონული), საგამომცემლო საქმის დიზაინერის როლი ყოველთვის შეუცვლელი და მოთხოვნადი იქნება, იგი განსაზღვრავს წიგნის კითხვადობას, გაფორმებას და ორიგინალობას.

შესაბამისად, საგამომცემლო საქმის დიზაინერის (წიგნების, წიგნისთვის ილუსტრაციების, ფლაერების, ბუკლეტების, სავიზიტო ბარათების, ინტერაქტიული (ელექტრონული) წიგნების დიზაინის შექმნა/დამუშავება; წიგნის გარეკანის შექმნა) სპეციალობის შესწავლის მსურველთა რაოდენობა დღითი

დღე იზრდება და ამ მონაცემებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამის შექმნა, რომლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის გახდეს კონკურენტუნარიანი; მარტივად და სწრაფად დასაქმდეს გამომცემლობებში, პოლიგრაფიულ სტუდიებსა და სხვა სარეკლამო კომპანიებში, ან/და დისტანციურად

დამოუკიდებელ მომუშავედ.

დაწესებულებას თვითონაც აქვს კვლევა ჩატარებული 2022 წლის მაისში პროგრამის განმახორციელებელ

პირებთან ერთად, კერძოდ, გამოკითხვა კითხვარების საშუალებით, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, როგორცაა, სკოლა სტიქსი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, NOOSFERA Foundation, არტ დირექტორი, და სხვა. გამოკითხვა ეხებოდა პროგრამის საჭიროებას, რომელიც აქტუალურია და მოთხოვნადი შრომის ბაზარზე, აგრეთვე დასაქმების კუთხითაც

არის ინტერესი. გამოკითხულთა ანალიზით ირკვევა ამ პროგრამის საჭიროება.

მან დასძინა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის „საგამომცემლო საქმის დიზაინერი“ სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან.

შემდეგ დარგის ექსპერტი შეეხო პროგრამის მიზანს. აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადება, რომელიც შეძლებს იმუშაოს გამომცემლობებსა და სხვა სარეკლამო კომპანიებში, ან/და დისტანციურად დამოუკიდებელ მომუშავედ და შეძენილი ცოდნის საფუძველზე გამომუშავებული დამატებითი ტრანსფერული უნარები გამოიყენოს მომიჯნავე სფეროებში.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - 1. ტესტირება, 2. ტესტირების შემდეგ მოტივაციური გასაუბრება, ან მხოლოდ მოტივაციური გასაუბრება, ან მხოლოდ ტესტირება. შერჩევის ფორმატს განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა იმაზე, რომ მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის, ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. მსმენელის სწავლის შედეგის მიღწევების შეფასება ხორციელდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სახით, განმავითარებელი შეფასება აუცილებლად სრულდება ჯგუფისთვის/მსმენელისთვის ზეპირი ან/და წერილობითი უკუკავშირის მიწოდებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: სწავლის შედეგი დადასტურდა: სწავლის შედეგი არ დადასტურდა. განმსაზღვრელი შეფასებებისას, მსმენელის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მსმენელს ეძლევა ერთჯერადად დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა.

დარგის ექსპერტმა თეა ბარამაშვილმა პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, კერძოდ

დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს ორი პირი, რომელთაგანაც გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება 2022 წლის 15 აპრილს, ხელშეკრულებაში არ არის წარმოდგენილი რომელ სწავლის შედეგებს ასწავლიან, თუმცა გასაუბრების დროს, განმახორციელებლებმა დაადასტურეს, თუ ვინ რომელ სწავლის შედეგს ასწავლიდა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა განმახორციელებელთა პირადი საქმეები კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისათვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს განხორციელდა პროგრამის ორივე განმახორციელებელთან გასაუბრება, აღნიშნული პირები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაშიც და აქვთ სწავლების საკმაო გამოცდილებაც. მათ გამოცდილებასთან ერთად აქვთ მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა, შესაბამისად პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, დაწესებულებას აქვს აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ორი აუდიტორია B გარემო, საჭირო ინვენტარითა და კომპიუტერული აღჭურვილობით 14 მსმენელზე, პროგრამაზე მოთხოვნილია 28 მსმენელი, 14 მსმენელი ჯგუფში, ვიზიტის დროს დათვალიერდა აუდიტორიები და აღჭურვილობა, რის საფუძველზეც დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს (2022 წლის 11 აგვისტოს № 2226098) წერილი, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2021 წლის 12 აპრილის №47 აქტი, რომლის მიხედვით დგინდება, რომ ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე, 2022 წლის 9 აგვისტოს სახანძრო-ტექნიკური შემოწმების №131 აქტის საფუძველზე, რომ ქ. თბილისში, გ. ფანჯიკიძის №3 -ში მდებარე სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 13 მაისის №101 ბრძანებით, სადაც გაწერილია ზოგადი დებულებები, სამედიცინო კაბინეტით სარგებლობის წესები, პასუხისმგებელი პირის უფლებები და ვალდებულებები, უსაფრთხოების აღჭურვილობა და წესები.

მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს 2007 წლიდან. ახორციელებს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, შესაბამისად მე-3 სტანდარტის ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.

დარგის ექსპერტმა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავების, მისი შეფასებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცესს კოორდინირებას უწევს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, რომელიც თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერთან და ექვემდებარება დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში).

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავების საჭიროების კვლევა/გამოკითხვა ხორციელდება დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციების,

განმახორციელებელი პირების ზეპირი ინტერვიუების ან/და წერილობითი (ელექტრონული/მატერიალური) გამოკითხვის ფორმით ან/და დასაქმების ბაზრის შესწავლით. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შეფასება ხორციელდება პროგრამის მიმდინარეობისას მეცადინეობებზე დაკვირვებით, განმახორციელებელი პირის ინტერვიუების გზით, პროგრამის დასასრულს მსმენელების კმაყოფილებისა და დასაქმების მაჩვენებლის შესახებ ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის საფუძველზე. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ცვლილებების შეტანა ხორციელდება პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შეფასების ანალიზის საფუძველზე, დაინტერესებული პირების მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამის განვითარების მიზნით.

ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი პასუხისმგებელია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში tvet.emis.ge ასახოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების განხორციელების შესახებ ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და მიმართა დაწესებულებას, დაეფიქსირებინათ მოსაზრება.

დაწესებულების დირექტორი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, საბჭოს ახალ შემადგენლობას მიულოცა და უსურვა წარმატებები საქმიანობაში. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტსა და ცენტრის წარმომადგენელს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის „საგამომცემლო საქმის დიზაინერი“ /01478/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საგამომცემლო საქმის დიზაინერი“ /01478/ (დანართი).

პირველი საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომას 14:29 საათზე შემუერთდა თორნიკე თოხაძე.

საბჭოს სხდომა 14:33 საათზე დატოვა თორნიკე ჯობავამ.

2. სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ /01434/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის №1116433 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტის, ქეთევან ჯანელიძის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ლანა გაჩეჩილას მიერ განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ მთავრობის №131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანართთან, ამავე მუხლის მეორე პუნქტთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 27 სექტემბერს, სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ ქ. რუსთავში, შარტავას გამზირი №4. კოლეჯს წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება სურს რუსთავში.

ვიზიტის დროს სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ მხრიდან ჩართულები იყვნენ კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და პროგრამის განმახორციელებელი პირები.

კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს.

ვიზიტის დროს დაფიქსირდა ერთი ხარვეზი, რომელიც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, კერძოდ

ქვესტანდარტი 2.4.- მიწერილობის დოკუმენტით გათვალისწინებული ვადები გასულია, განმეორებითი შეფასებისთვის კოლეჯმა მიმართა შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციას, თუმცა შეფასება არ მომხდარა. სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დასკვნის გარეშე ვერ დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

ასევე ვიზიტის დროს გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.6. - რეკომენდირებულია გასწორდეს:

- პროგრამის მერვე შედეგში არის ტექნიკური უზუსტობა, აკლია ბოლო სიტყვა. ინტერვიუს დროს დადგინდა რომ შედეგი უნდა იყოს ჩამოყალიბებული შემდეგნაირად: „ინტერპერსონალური უნარების განვითარება მდგრადი და წარმატებული დასაქმებისა და/ან თვითდასაქმებისათვის“.

- პროგრამის შედეგი 4. „ექსკურსიის შექმნა; საამბობი ტექსტის შემუშავება“ შესაძლებელია დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს როგორც „ექსკურსიის შექმნა“, ვინაიდან ეს აქტივობა ტურისტული მეგზურისათვის საამბობი ტექსტის შემუშავებასაც მოიაზრებს.

- პროგრამის შედეგი 6. „ტურისტული ობიექტის დემონსტრირება და ტურისტული ჯგუფის გაძლოლა“ შესაძლოა ჩამოყალიბდეს, როგორც „ექსკურსიის წარმართვა“, რაც თავის თავში ტურისტული ობიექტის დემონსტრირებას და ჯგუფის გაძლოლას მოიაზრებს.

ქვესტანდარტი 1.10. - კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის შედეგებისათვის შემუშავდეს რელევანტური შეფასების ინსტრუმენტები და განისაზღვროს თითოეული შედეგის დადასტურებისთვის ადეკვატური შეფასების მიმართულება და შეფასების კრიტერიუმები. ასევე მიეცათ რეკომენდაცია, მოხდეს კომუნიკაცია სხვა საგანმანათლებლო

დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ მსგავს პროგრამებს, საუკეთესო პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ქვესტანდარტი 3.7. - დაწესებულებამ წარმოადგინა გაცემული სერტიფიკატების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც ფორმალური განათლების ფარგლებში გაცემულ სერტიფიკატებთან ერთად აღრიცხულია არაფორმალურ კურსებზე გაცემული სერტიფიკატებიც. რეკომენდირებულია გაიმიჯნოს ჟურნალი და გაფორმდეს შესაბამისი წესით.

დაწესებულებამ წარმოადგინა სერტიფიკატის ფორმა თავისი დანართით. სერტიფიკატის დანართში დაშვებულია ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ შედეგების ჩამონათვალში მერვე შედეგს აკლია ნუმერაცია და სრულად არ არის ასახული შედეგი. დანართში წერია „ობიექტების შესახებ პრეზენტაციის“, უნდა იყოს „ობიექტების შესახებ პრეზენტაციის მომზადება“. ნუმერაცია აკლია მერვე შედეგს ინგლისურ ვერსიაშიც. რეკომენდირებულია სერტიფიკატის გაცემამდე შემოწმდეს და გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა. ასევე მნიშვნელოვანია ზედმიწევნით სიზუსტით ითარგმნოს დანართის ინგლისური ვერსია.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამის „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ საჭიროების დასაბუთება, რომელიც ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს რეგიონში, კერძოდ რეგიონში ტურისტების მატებამ გააჩინა მოთხოვნა კერძო ბიზნესში მომსახურების დონის ამაღლებაზე და მომსახურებაში კვალიფიკაციური გიდების ჩართვის აუცილებლობაზე.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კოლეჯმა ერთი წლის წინ მოიპოვა პროფესიული მომზადების პროგრამის „ქართულენოვანი ტურისტული მეგზური“ განხორციელების უფლება მარნეულის ფილიალში. აღნიშნულმა პროგრამამ გამოკვეთა საჭიროება, რომ რუსთავეტიც განხორციელებინათ ანალოგიური პროგრამა, ვინაიდან აღნიშნულ ლოკაციაზე იყვნენ სწავლის მსურველები.

დარგის ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავდა კოლეჯ მოდულში USAID-ის პროექტი ზრდას და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის Action Against Hunger-თან თანამშრომლობით. პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“, პროგრამას დაემატა ორგანიზაციის Action Against Hunger მიერ შემუშავებული „Shuttle“ მეთოდოლოგია „რბილი უნარების განვითარების დასაქმებისთვის“, რომელიც ემსახურება მსმენელის პიროვნული, სიტუაციური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი (ტექნიკური) უნარების შეძენის პარალელურად და მოიცავს 50 საათს, წარმოდგენილი პროგრამა საპილოტეა და მისი წარმატებით განხორციელება დიდწილად განსაზღვრავს არა მხოლოდ რეგიონის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას, არამედ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელთა ზრდასაც, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიის ჩაშენება შესაძლებელი ნებისმიერ მოკლევადიან პროგრამაში.

დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ ისაუბრა 1.2. ქვესტანდარტთან მიმართებით და აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, კერძოდ პროგრამაში წარმოდგენილი თემატიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ტურიზმის განმარტება და ფორმები; ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრია საქართველოში, რეგიონული ტურისტული მეგზური სამუშაოს აღწერა (სამუშაო დავალებები და ამოცანები, კომპეტენციები, თვისებები, სამუშაო გარემო), ტურიზმის მარეგულირებელი საკვანძო დოკუმენტები (საერთაშორისო და ადგილობრივი) ტურისტული გიდების საკვანძო საერთაშორისო გაერთიანებები და მათი მიზნები (WFTGA, FEG) და ქართული ასოციაციები, რეგიონული ტურისტულ ბაზარზე არსებული ტენდენციები. ექსპურსიების/კორპორატიული ტურების მომზადების და ჩატარების სტანდარტები და თავისებურებები, გიდის პორტფოლიოს დაკომპლექტება, ექსპურსიის ჩატარება, რისკების მართვა და უსაფრთხოება, პროფესიული საქმიანობის საერთაშორისო კოდექსი და სხვა, პროგრამა ასევე მოიცავს თემატიკას პიროვნული, სიტუაციური უნარების განვითარების, დასაქმებისა ან/და თვითდასაქმების

შესაძლებლობების შესახებ, აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, კერძოდ პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია კურსის დასრულების ბოლოს მსმენელმა იცოდეს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული განმარტებები, ტურისტული მეგზურის სამუშაო ფუნქციები, ქვევის წესები, ეთიკის ნორმები, საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტები, შეძლოს ტურისტული პროდუქტის კონცეფციის აღწერა, ფლობდეს ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით ტურისტული ინდუსტრიისთვის საინტერესო პროდუქტის/შემეცნებითი ექსკურსიის შექმნის სპეციფიკას, საამბობი ტექსტის შემუშავების წესებს, შეძლოს ტურისტული დანიშნულების ადგილის დემონსტრირება და ჯგუფის პრაქტიკული გაძლოლა, განივითაროს პიროვნული, სიტუაციური და ინტერპერსონალური უნარები, რათა გახდეს კონკურენტუნარიანი, კომპეტენტური კადრი შრომის ბაზარზე და დასაქმდეს ტურისტული მეგზურის პროფესიით სააგენტოში, სასტუმროში ან იყოს თვითდასაქმებული.

მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში და დასძინა, რომ ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო დაწესებულების მარნეულის ფილიალში „ქართულენოვანი ტურისტული მეგზურის“ პროგრამაზე განხორციელებული აპლიკანტთა მიღების პროცედურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გასაუბრების შეფასების ფორმები. უკვე არსებული გამოცდილებით პროგრამისათვის “ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)” დაშვების წინაპირობად განისაზღვრა სრულ ზოგად განათლებასთან ერთად გასაუბრება.

დარგის ექსპერტი თავის პრეზენტაციაში შეეხო ასევე სხვა ქვესტანდარტებსაც და განმარტა, რომ აღნიშნული ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მარნეულის ლოკაციის მენეჯერის განმარტებით, როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი პროგრამების შემთხვევაშიც შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება ხდება პროგრამის განმახორციელებლების მიერ პროგრამით გათვალისწინებული თემატიკის და მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად, შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წინასწარ ექვემდებარება ვალიდაციას და მხოლოდ ვალიდირებული ინსტრუმენტის გამოყენებით ხორციელდება შეფასების პროცესი, მტკიცებულებები აღირიცხება და ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში, ხოლო უწყისები უვადოდ, ეს პროცედურები კი დარეგულირებულია შესაბამისი დებულებით. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ მსმენელს აქვს უფლება საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს განმეორებით შედეგის დადასტურების უფლება და ასევე მიმართოს აპელაციას.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამის „ქართულენოვანი ტურისტული მეგზური“ ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტი და შეფასების მტკიცებულებები, შეფასების უწყისი, წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტი მოიაზრებდა პროგრამის ყველა შედეგის შეფასებას.

პრეზენტაციის ფარგლებში დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, კერძოდ კოლეჯს პროგრამის განხორციელებისათვის წინასწარი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ პროგრამის განამხორციელებელ პირთან, ერთ-ერთი პირი არის საქართველოს გიდების ასოციაციის წევრი, WFTGA-ტრენერი საქართველოში, WFTGA-სტანდარტის ტურისტული გიდი, აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საერთაშორისო ოფიციალურ დელეგაციებთან გიდად მუშაობის, ასევე ევროპის ქვეყნებში დელეგაციების საქმიანი და სასწავლო ტურების ორგანიზების მათ

მიღება-გაცილებაში, მას უკვე აქვს აღნიშნული პროგრამის სწავლების გამოცდილება, რაც შეეხება „Shuttle” მეთოდოლოგიას - რბილი უნარების განვითარება დასაქმებისთვის“, ამ ნაწილში ჩაერთვება მეორე განმახორციელებელი პირი, რომელიც პროფესიით ფსიქოლოგია, მან გადამზადება გაიარა აღნიშნული „Shuttle” მეთოდების სწავლებაში და აქვს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებთან კომუნიკაციის, სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება.

ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების, მატერიალური რესურსების ფოტო-მასალა.

დარგის ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა 2.4. ქვესტანდარტზე, რომლის თანახმად სასწავლო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, მისი თქმით კოლეჯში დამტკიცებულია „სახანძრო უსაფრთხოების წესი“ და ასევე შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, ამავდროულად კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც სისტემატიურად ატარებს კანონის მოთხოვნების შესაბამისად გეგმიურ ინსტრუქტაჟს, კოლეჯმა ასევე წარმოადგინა „სახანძრო უსაფრთხოების საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის სამსახურის მიწერილობა, კოლეჯმა წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს კოლეჯის სარგებლობაში არსებული სასწავლო კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან დადგენის მოთხოვნით, თუმცა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დასკვნის გარეშე ვერ დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, შესაბამისად ქვესტანდარტი არ არის დაკამოფილებული.

თავის პრეზენტაციაში დარგის ექსპერტი შეეხო ასევე მე-3 სტანდარტს და აღნიშნა, რომ ყველა ქვესტანდარტი დაკამოფილებულია.

დარგის ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, მან აღნიშნა, რომ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს განვითარების არსებული ეტაპის დადგენას და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას. გასაუბრების დროს კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ როგორც დანარჩენი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების განხორციელების დროსაც მუდმივად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რაც გულისხმობს პერიოდულად სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასებას. შეფასებები ხორციელდება როგორც საკონტაქტო საათის დროს უშუალოდ პროცესზე დაკვირვებით, ასევე სხვადასხვა ტიპის კითხვარების გამოყენებით და უკუკავშირის მიღების სხვადასხვა გზით. სასწავლო პროცესის სწავლების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით ხდება ასევე სამუშაო შეხვედრების ორგანიზება. მიღებული შედეგების ანალიზის შემდეგ საჭიროებიდან გამომდინარე დგება გაუმჯობესების გეგმები და იგეგმება გაუმჯობესების ხელშემწყობი აქტივობები.

ვიზიტის დროს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ სისტემატიურად ახორციელებენ დასაქმებულთა კვლევას, ხომ არ არის ამ უკუკავშირის შედეგად პროგრამაში ცვლილებების განხორციელების რაიმე საჭიროება და ასევე ახორციელებენ დამსაქმებელთა კვლევას. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა მსმენელთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები. დაწესებულება ასევე ახორციელებს დაინტერესებულ პირთა მომართვიანობის აღრიცხვას, რომლის სტატისტიკის ანალიზის შედეგებს იყენებს პროგრამების განხორციელების შემდგომი დაგეგმვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულებას, რომ დაეფიქსირებინა პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტების მხრიდან იყო გაცემული, დაწესებულებამ გაითვალისწინა და გამოსწორებულია.

საბჭოს წევრი ნინო ველთაური დაინტერესდა, რა წინააღმდეგობა ჰქონდა დაწესებულებას, რომ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზი მოეწესრიგებინათ მონიტორინგის განხორციელებამდე, მისი მხრიდან ასევე დაისვა კითხვა, დაწესებულებას თუ ჰქონდა შესწავლილი გიდების დასაქმების პოტენციალი.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოების სამსახურიდან დაწესებულებას მიწერილობა 2019 წელს გამოეგზავნა, აღნიშნულ მიწერილობაში მოცემული იყო შემდეგი ინფორმაცია, რომ ზონალური სისტემა უნდა შეცვლილიყო სამისამართო სისტემით, მისი მხრიდან აღინიშნა, რომ ის სულ რაღაც ერთი წელია რაც აღნიშნულ დაწესებულებას ხელმძღვანელობს, შესაბამისად, როდესაც ის გახდა ხელმძღვანელი, ბიუჯეტი უკვე გაწერილი იყო, აქედან გამომდინარე აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა ვერ განხორციელდა. ასევე, მისი მხრიდან აღინიშნა, რომ მიწერილობაშიც იყო გარკვეული სახის შეცდომა, რადგან მათთან არსებული უსაფრთხოების სისტემა არის სწორედ სამისამართო სისტემა და არა ზონალური, მისი თქმით ეს სისტემა საჭიროებდა გამართვას და აღმოჩნდა, რომ ის რაც 2019 წლის მიწერილობაში იყო ასახული, მათ გამოსწორებული ჰქონდათ და ზედამხედველობის სამსახურის ვიზიტისას, მათ მიწერილობის მიხედვით არ უმსჯელიათ ამ საკითხზე, მათ აღნიშნეს, რომ გარკვეული ახალი სტანდარტებია დამატებული.

დაწესებულების დირექტორმა, მეორე კითხვასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ისინი პერმანენტულად ახორციელებენ გამოკითხვებს, აქედან გამომდინარე, ტურიზმის მიმართულებით იყო მეტი ინტერესი გამოხატული, და დასძინა, რომ გიდები ძირითადად არიან თვითდასაქმებულები.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ როცა გიდის საქმიანობაზეა საუბარი, აღნიშნული შემოიფარგლება კომუნიკაციით, ლინგვისტური შესაძლებლობებით და ლოტური მიმართულებით, მან დასძინა, რომ თუ კი ლოტი არ ჩამოყალიბდება, გაუგებარი იქნება, რა მიმართულებით გადაემზადებიან აღნიშნულით დაინტერესებული პირები.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნულთან დაკავშირებით დააფიქსირა თავისი პოზიცია და განმარტა, რომ ის პირები, რომლებიც ამ პროცესში ჩაერთვებიან ფლობენ გარკვეულ ცოდნას, რისი დადგენა ხდება გასაუბრების საფუძველზე და შემდეგ ხდება მათში სხვა საჭირო უნარების გამომუშავება.

საბჭოს წევრმა ზაირა ბერიძემ დასვა კითხვა საათობრივ დატვირთვისასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და რამდენად საკმარისი იქნება 180 საათი პროგრამის დასაძლევად.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა მოიცავს რბილი უნარების გამომუშავების კომპონენტსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი დასკვნის თანახმად დარღვეულია სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესები, აქედან გამომდინარე, მისი მოსაზრებით კენჭი უნდა ეყაროს აღნიშნული განაცხადისთვის ერთვანი გამოსწორების ვადის განსაზღვრას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „მოდუსისთვის“ „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი) /01434/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. ა(ა)იპ ქვევრის მზის „ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეციალისტი“ /01378/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 23 სექტემბრის №1143411 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეცია-ლისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და განახორციელეს ვიზიტი 29 სექტემბერს ქ. თელავში, სოფ. ნაფარეულში.

სამუშაო დღე წარიმართა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტი გაეცნო ორგანიზაციის წარმომადგენლებს. მათგან მოისმინა წარმოდგენილი პროგრამის მნიშვნელობის დასაბუთება და ასეთი სპეციალისტების საჭიროების დასაბუთება დარგში.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

გაიცა ერთი რეკომენდაცია, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.1 - რეკომენდებულია, პროგრამის დასაბუთება მოიცავდეს სტატისტიკურ, რაოდენობრივ მონაცემებს, რომელიც ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

დარგის ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილი პროგრამის საჭიროებაზე შრომის ბაზარზე, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის საჭიროების დასაბუთების დოკუმენტის თანახმად, საქართველოში ყოველწლიურად მეღვინეობის სფეროდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით თანამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სფეროს განვითარებისათვის, მასშტაბების და შემოსავლების ზრდისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების ხარისხის და ქართული ტრადიციული მეღვინეობის და მასთან დაკავშირებული განათლების/წარმოების/მომსახურების საუკეთესო გაერთიანების შეთავაზება მომხმარებლებისათვის, რისთვისაც საჭიროა ამ სფეროში ამჟამად მომუშავე პერსონალის გადამზადება.

სფეროს ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი გარანტი იქნება თანამედროვე და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად გადამზადებული პერსონალი,

მსოფლიოსა და ქვეყანაში, ბოლო ათწლეულში საკმაოდ პოპულარული გახდა ქვევრის ღვინო. ქვევრის ღვინის გაყიდვების მკვეთრი ზრდა ფიქსირდება, როგორც შიდა ბაზარზე, ასევე უცხოური ქვეყნების ბაზარზე. სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ქვევრის ღვინის სტატუსის დასამკვიდრებლად: სახელმწიფო კანონში „ვაზის და ღვინის შესახებ“ გაჩნდა ჩანაწერი: „ქვევრის ღვინო“ შესაბამისი განმარტებით; მოხდა ქვევრის გეოგრაფიული აღნიშვნის დაპატენტება; ტარდება ქვევრის ღვინის კონკურსები; 2013 წელს ქვევრის ღვინის დაყენების უახლოესი ქართული ტრადიციული მეთოდი - შეტანილ იქნა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში

თუმცა, ამის პარალელურად ბაზარზე გამოჩნდა დაბალი ხარისხის ქვევრის ღვინოები. საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის 2015 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე - მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტს - „ქვევრეობის ტრადიცია საქართველოში“.

შეიქმნა კვალიფიციურ მუშაკთა სეროიზული დეფიციტი ქვევრის ღვინის წარმოების დარგში, სწორედ ამ დეფიციტის აღმოფხვრისთვის მოღვაწეობს კომპანია „ტყუპების საღვინე სახლი“, რომელიც მდებარეობს სოფელ ნაფარეულში, თელავის მუნიციპალიტეტში, რომელიც არის ა(ა)იპ „ქვევრის მზის“ პარტნიორი. კომპანიას 20 წლის არსებობის ისტორია აქვს, მისი ძირითადი საქმიანობაა მევენახეობა, ქვევრის ღვინის წარმოება და ტურიზმი.

ორგანიზაცია სასწავლო მიზნებისთვის თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორებთან: შუმი მეღვინეობა, ღვინის ქარხანა შილდა, წინანდლის მამული, ყვარლის ედემი, შალოშვილის ღვინის მარანი, სასტუმრო შუმი, სასტუმრო შატო მერე, სასტუმრო ლოპოტა, სასტუმრო ვენახი, სასტუმრო კობი მარანი, სასტუმრო არტვანი, სასტუმრო შატო ნაფარეული, სასტუმრო შატო ყვარელი, მეღვინეობა ძმები თეოშვილები Inn, Hotel Holiday Inn, Hotel Villa Eniseli, Hotel Mosmier, შპს ზარია. ორგანიზაციები: საქართველოს ტურიზმის ასოციაცია, გიდების ასოციაცია, ევროკავშირი საქართველოს ბიზნეს საბჭო. ყველა მათგანის წარმომადგენლები გამოკვეთენ დასაქმებული პირების გადამზადების აუცილებლობას, რის საფუძველზეც შეიქმნა მომზადების პროგრამა „ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეციალისტი“ დასაქმებულების და სფეროში მოღვაწე ადამიანების კომპეტენციების ამაღლების მიზნით. ასევე, ეს ყველაფერი საქართველოში ამ სფეროს დასაქმებულების მიერ საკუთარი კომპანიების განვითარების და ახალი ქვევრის ღვინის კლუბების შექმნის ხელშემწყობი ფაქტორი იქნება, რაც ასევე სამომავლოდ მნიშვნელოვანი წამოწყებაა.

დარგის ექსპერტმა თავის პრეზენტაციაში ისაუბრა სამივე სტანდარტის ყველა ქვესტანდარტთან მიმართებით და აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

პრეზენტაციის ბოლოს მან საბჭოს წარუდგინა ორგანიზაციის სასწავლო გარემოების და მატერიალური რესურსის ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აქვს თუ არა დაწესებულებას განსაზღვრული აპლიკანტების გასაუბრების კრიტერიუმები და პროგრამაში მითითებული საათების რაოდენობა (120 სთ.) საკმარისია თუ არა სწავლის შედეგების მისაღწევად, რაზეც დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს დაისვა კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და ასაკი - 18 წელი, ამ პროგრამაზე ჩაერთვებიან დაინტერესებული პირები, აღნიშნული დაშვების წინაპირობები

მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

საბჭოს წევრმა ზაირა ბერიძემ დასვა კითხვა, თუ რა ტექნოლოგიების შესწავლას ითვალისწინებდა ღვინის დამზადება ქვევრში, მხოლოდ ინტერესს დაფარავს, თუ რაიმე დამატებით იქნება საჭირო, მან დასძინა რომ ღვინის დამზადება ქვევრში არ არის ერთადერთი კომპონენტი, ცოდნასაც მოითხოვს, მან ასევე დასძინა, რომ გასაუბრების კრიტერიუმებიც არ არის მისთვის ცნობილი, თუ როგორ ხდება შერჩევა და სწავლის შედეგების დადასტურებისთვის საკმარისია თუ არა 120 სთ. ზაირა ბერიძემ თხოვა დარგის ექსპერტს განემარტა, რამდენად არის რეალური ამ კომპონენტის დაძლევა, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ დაინტერესებულ პირს აქვს მზაობა იმისათვის, რომ მიიღოს ცოდნა და გამოიმუშაოს უნარები, შესაბამისად შესაძლებელია დაძლიოს ამ ვადებში აღნიშნული პროგრამა. მან განმარტა, რომ ვიზიტის დროს ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დაარწმუნეს, რომ ამ ვადაში ეს მიღწევადია, პროგრამა ისეა აგებული, რომ განმახორციელებელი პირები ამის სარწმუნოებას იძლევიან.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, მან აღნიშნა, რომ გაეცნო დასკვნას, დასკვნაში დაფიქსირებულ სწავლის შედეგებს, კერძოდ, სწავლის შედეგები: ღვინის დამზადება ქვევრში, ღვინის და ჭაჭის ამოღება ფრაქციებად, ქვევრის ღვინის ორგანოლეპტიკური შეფასება, ხანგრძლივობა არის 6 კვირა, ეს ხომ არის ტექნოლოგიურ პროცესზე მიბმული, მიყვება ტექნოლოგიურ პროცესს, სავარაუდოდ ეს ხდება შემოდგომაზე, უკვე ღვინის საბოლოო სახის მიცემამდე, რაც სრულდება ქვევრის ღვინის ორგანოლეპტიკური შეფასებით, ეს პროცესი უწყვეტად გრძელდება, თუ არის პროგრამის განხორციელების პროცესში წყვეტა, ეს პროცესი როგორც მან აღნიშნა, უფრო მეტ ხანს გრძელდება, ვიდრე აქ არის მოცემული.

ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ფლობს საკმაოდ დიდი რაოდენობით ქვევრებს, დაახლოებით 100-მდე, საკმაოდ მასშტაბური საქმიანობას ახორციელებს, მათ აქვთ ნებისმიერ სეზონზე იმის შესაძლებლობა, რომ ნებისმიერი პროცესის ნახვა არის შესაძლებელი, მან ასევე დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა 6 კვირიანია, მათ სხვადასხვა სახის ღვინოების წარმოება აქვთ და შესაძლებელია ნებისმიერ სეზონზე ამ პროცესებზე დაკვირვება, მათ რეალობიდან გამომდინარე ეს საკითხი ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ აქვთ ისეთი ყურძნის მარაგები, რომ შეუძლიათ მსმენელებს ნებისმიერ დროს აჩვენონ ყველა პროცესი.

პრეზენტაციის ფარგლებში ასევე წარმოდგენილი იქნა ორგანიზაციის სასწავლო გარემოების და მატერიალური რესურსის ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ დაეფიქსირებინა პოზიცია.

კონსულტანტი თეა ოსეფაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა არჩევა საბჭოს ახალ შემადგენლობას. მადლობა გადაუხადა ექსპერტს ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და საბჭოს წევრის ზაირა ბერიძის კითხვას გასცა პასუხი. მან აღნიშნა, რომ მთელი წლის განმავლობაში ნებისმიერ სეზონზე არის შესაძლებელი პროცესების ნახვა. თემატიკა შეესაბამება მესამე საფეხურს, ეს არის პროგრამა იმათთვის, ვინც კვალიფიციური მუშის კომპეტენციები უნდა განივითარონ. რაც შეეხება გასაუბრებას, შეფასებას, ორგანიზაციას აქვს შიდა რეგულაციები შემუშავებული და ეს პროცედურები ასახულია რეგულაციებში.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა ორგანიზაციის ხელმძღვანელს დაეფიქსირებინა პოზიცია, ორგანიზაციის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა საბჭოს ახალ შემადგენლობას არჩევა და ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა. მან მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და ცენტრის წარმომადგენელს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

მან აღნიშნა, რომ საქართველო ახლა იდგამს ფეხს ქვევრის ღვინის ხარისხის კუთხით, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი საოჯახო და მცირე მარნები, ასევე ღვინის ქარხნები ითხოვენ დახმარებას ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვაში და სწორედ ამის საფუძველზე მოხდა ამ პროგრამის შემუშავება. იქიდან გამომდინარე, რომ ორგანიზაცია ვერ მისცემს პირს მეღვინეობის კვალიფიკაციას, მომზადდებიან პირები, რომლებსაც აქვთ თავიანთი მცირე საოჯახო მარნები და მცირე მეურნეობა, ან საწარმოში შეხება აქვთ ქვევრთან, რათა სწორად წარმართონ შედეგების სახით წარმოდგენილი პროცესები. მან დასძინა, რომ შესაბამისად პროგრამის თემატიკაც შესაბამისია სწავლის შედეგების მისაღწევად. წარმოდგენილი პროგრამა მნიშვნელოვანია, იმდენად, რომ მსოფლიო ბაზარს შესთავაზონ ხარისხიანი ქვევრის ღვინო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქვევრის მზის „ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეციალისტი“ /01378/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ქვევრის მზეს (ს/კ: 431180777) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქვევრის და ქვევრის სპეციალისტი /01478/ (დანართი).

4. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01462/ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 სექტემბრის №1049013 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2022 წლის 22 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორი-ზონ-ტის“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან და მოადგილესთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან(დისტანციურად), გორაბერეჟოულის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერთან, ზრდასრულთა განვითარების კოორდინატორთან, სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტთან, მატერიალური რესურსების მენეჯერთან.

ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი, კოლეჯის ლაბორატორია, განხორციელდა პარტნიორ კომპანიასთან (ი/მ ბ. მ.) და დაწესებულების მიერ დამატებული ახალი პარტნიორი ა. დ.) ვიზიტი, პრაქტიკული კომპონენტის სწავლების დათვალიერების მიზნით.

ვიზიტის დროს დაფიქსირდა ერთი ხარვეზი, კერძოდ

ქვესტანდარტი 2.4 - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით კოლეჯისთვის სახანძროს მიერ გაცემული ერთი რეკომენდაცია ჯერჯერობით კვლავ შეუსრულებელია წყლის ავზთან დაკავშირებით, თუმცა არის გარკვეულიწარმატება მიღწეული ამ მხრივ.

გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ

წარმოდგენილ პროგრამაში გაპარული იყო რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა, რომელიც გასასწორებელია, კერძოდ:

განაცხადსა და პროგრამაში მსმენელთა მოთხოვნილ საერთო რაოდენობად მითითებული იყო 10 (ათი), ხოლო დაწესებულების მიერ კვოტის განსაზღვრის დოკუმენტსა და პარტნიორებთან დადებულ ხელშეკრულებებში მსმენელთა რაოდენობა მითითებული იყო 15 (თხუთმეტი). დაწესებულებასთან გასაუბრების დროს დაზუსტდა მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა და არის -15.

სტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა არის 12 კვირა და არა -13 კვირა, როგორც ეს პროგრამაშია მითითებული; ასევე, პროგრამაში გამორჩენილია კვირეული სასწავლო-საათობრივი დატვირთვა, რომელიც 12 საათია 1-10 კვირაში, ხოლო მე-11 კვირაში არის 9 საათი.

სტანდარტი 1.4 - დაშვების წინაპირობაში მითითებულია საბაზო განათლება, სრული ზოგადი განათლების ნაცვლად.

დარგისექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში, ასევე წარმოადგინა სასწავლო გარემოების და მატერიალური რესურსის ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ხარვეზთან დაკავშირებით, კერძოდ **ქვესტანდარტი 2.4** - თან დაკავშირებით და განემარტა, თუ რატომ არის კოლეჯისთვის სახანძრო უსაფრთხოების უწყების მიერ გაცემული ერთი რეკომენდაცია ჯერჯერობით შეუსრულებელი, რაც ეხებოდა ავზს.

თავის პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა ისაუბრა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტებთან მიმართებაში, აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი ხარვეზია 2.4 ქვესტანდარტან მიმართებაში, დანარჩენი ქვესტანდარტების დაკმაყოფილებულია.

დაწესებულების წარმომადგენელი ნანა ჯოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დაწესებულება არის საკმაოდ წარმატებული, ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს. მან დასძინა, რომ სოფელ გორაბერეჟოულში ახორციელებს დაწესებულება სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, და დააზუსტა, რომ ახალ კორპუსში, სოფ. გორაბერეჟოულში განხორციელდებოდა ეს პროგრამა, რაც დაუდასტურა დაწესებულების ხელმძღვანელმა.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ავზი უნდა გადმოცემოდა კოლეჯს, ეს საკითხი საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან კონტროლზეა აყვანილი, ასევე მან აღნიშნა, რომ საბჭოს მიეწოდა წერილი, საიდანაც ჩანს, რომ დარჩენილია მხოლოდ ავზის გადმოცემის საკითხი, რომელიც ძალიან ახლოს არის კოლეჯთან. ავზის მოწოდება ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, ისევ შეფერხებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების ხელმძღვანელს დაეხუსტებინა, რომ მხოლოდ ავზის საკითხი იყო დარჩენილი, სხვა რეკომენდაციები შესრულებული იყო, რაც დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენელმა.

საბჭოს წევრმა თორნიკე თოხაძემ აღნიშნა, რომ წინა საბჭოს შემადგენლობას ჰქონდა ასეთივე პრეცედენტი, აქედან გამომდინარე ისეთივე გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, როგორც მიღებულ იქნა წინა საბჭოზე.

ლანა გაჩეჩილაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ წინა საბჭოს სხდომაზე იყო გატანილი ამავე დაწესებულების განაცხადი, მაშინ ცენტრმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს ამ საკითხთან დაკავშირებით მონიტორინგი ჩანიშნულიყო, თუმცა როგორც აღმოჩნდა ამ ეტაპზე იმავე ხარვეზთან გვაქვს საქმე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცალსახად სახეზეა დაწესებულების მზაობა და არაფერს არ იშურებს იმისთვის, რომ მოგვარდეს ეს საკითხი, თუმცა ვინაიდან ეს სტანდარტი არის დარღვეული, ასეთივე ქეისი იყო სხვა დაწესებულების შემთხვევაში, და შესაბამისად გადაწყვეტილებაც ამის მიხედვით უნდა იქნეს მიღებული.

ამის შემდეგ ისაუბრა ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელმა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს პროგრამა შემუშავდა ფერმერთა ასოციაციის ჩართულობით, მან დასძინა, რომ ერთი წლის განმავლობაში მიდიოდა ამ პროგრამაზე მუშაობა, პროგრამა აგებულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმაზე, ჩართულნი იყვნენ სამი კომპანიის წარმომადგენლები, მათი მხრიდან წამოვიდა ინიციატივა ამ პროგრამის შემუშავებაზე, ამასთანავე პროგრამის შემუშავების და განხორციელების მიზანშეწონილობა გამყარებულია კვლევით, რომელიც ჩატარდა სამ რეგიონში, მათ შორის გურიის რეგიონში. კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ მეღვინეობა-მევენახეობის მიმართულება არსებითად მნიშვნელოვანია.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამა თავისი აქტუალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად ხელი უნდა შევუწყოთ, თუმცა ამ შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ.

დაწესებულების ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის ძლიერ მხარეზე, კერძოდ მან აღნიშნა, რომ ფერმერთა ასოციაციის დახმარებით და დაფინანსებით შეძენილი იქნა ღვინის ხარისხის განმსაზღვრელი ლაბორატორია, რომელიც დასავლეთ საქართველოში არც კი მოიპოვებოდა და სტუდენტები თბილისში უნდა ჩამოგვეყვანა ამ ლაბორატორიაში.

საბჭოს სხდომაზე განმარტება გააკეთა ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც სხდომის მონაწილეებს გააცნო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ვალერიან გობრონიძის წერილი.

წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, კოლეჯის წერილების საფუძველზე, მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ გორაბერეჟოულში მდებარე 86.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №28.11.22.380) განთავსებული მოძრავი ქონება - წყლის ავზი, თხოვების უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) წლის ვადით, ა(ა)იპ კოლეჯისთვის „ჰორიზონტი“ გადაცემასთან დაკავშირებით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ უკვე მომზადებულია საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტისათვის“ უძრავი ქონების უსასყიდლო

უზუფრუქტის უფლებითა და მოძრავი ქონების თხოვების უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ" და ატვირთულია ელექტრონული მთავრობის პროგრამაში (N35938; 07.11.2022).

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა გურიის რეგიონში და შესაბამისად, საკვანძო როლი ეკისრება, რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესში, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის ფორმირების გზით. დაწესებულება უწყვეტად ადევნებს თვალს რეგიონში მიმდინარე ტენდეციებს, ადგილობრივ შრომის ბაზარზე იდენტიფიცირებულ მოთხოვნად, დეფიციტურ კვალიფიკაციებს, უზრუნველყოფს კერძო სექტორთან ინტენსიურ დიალოგს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული რესურსის გათვალისწინებით, ახდენს ამა თუ იმ პროგრამის/ების განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზს. პროფესიული მომზადების პროგრამის „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ შემუშავებასაც წინ უძღვოდა აქტიური კომუნიკაცია კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებენ. პროგრამის შემუშავების პროცესი მხარდაჭერილი იყო პროექტის „უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისათვის, პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის SECTORS“ მიერ, რომელიც ხორციელ-დება ევროკავშირის ფინანსური დახმარებითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის კოორდინაციით. აღნიშნული მიმართულების საგანმანათლებლო სერვისის შემუშავება/დანერგვის საჭიროება გამოიკვეთა აგრეთვე, ზემოთ დასახელებული პროექტის ფარგლებში, 2020-2021 წელს განხორციელებულ კვლევაშიც „შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით“, რომელმაც დაადასტურა, რეგიონში მევენახეობა/მეღვინეობის მიმართულებით კვალიფიციური კადრის მომზადების საჭიროება, მზარდი მოთხოვნა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ პარტნიორ კომპანიებს აქვთ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების პროცესში მონაწილეობისა და შემდგომში მათი დასაქმების სურვილი/საჭიროება და შესაბამისი კონტრიბუციის მზაობა. აღნიშნული წერილით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე შუამდგომლობს კოლეჯ „ჰორიზონტს“ საბჭოს წინაშე, რომ კოლეჯს მიეცეს გონივრული ვადა, 2.4 ქვესტანდარტის („სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში“) დასაკმაყოფილებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტისთვის“ ჩონხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული

მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/კ: 237079497) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ღვინის დამზადება საოჯახო მარანში /01496/ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გორაბერეჟოულში - ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიძე ზაირა

ბერიძე ზაირა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01478	საგამომცემლო საქმის დიზაინერი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	28	ქ. თბილისი, ფანჯიკის ქ. №3

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01378	ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მესამე	6	ქართული	15	ქ. თელავი, სოფ. ნაფარეული